

11 მარტი- თირკმლის მსოფლიო დღე

თირკმლის მსოფლიო დღე ყოველწლიურად აღინიშნება მარტის მეორე ხუთშაბათს და ეძღვნება თირკვლებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს.

2010 წელს თირკმლის მსოფლიო დღე ფოკუსირებულია დიაბეტზე, როგორც თირკმლის ქრონიკული დაავადებების წამყვან მიზეზზე.

თირკმლის მსოფლიო დღე აღინიშნება საინფორმაციო კამპანიით, რომლის მიზანია ხაზი გაუსვას თირკმლის, თირკმლის დაავადებების და მასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების შემცირების, ამ დაავადებებით გამოწვეული ტვირთის შემცირების მნიშვნელობას.

მრავალმა ადამიანმა არ იცის საკუთარი თირკმლების დაზიანების შესახებ, დაავადების გამოვლენა ხშირად დაგვიანებულია. დროული დიაგნოსტიკების შემთხვევაში კი შესაძლებელია დიალიზისა და ტრანსპლანტაციის პრევენცია.

მოუწოდებთ პაციენტს გაუზიაროს გარშემომყოფთ თავისი გამოცდილება და ამით გაზარდოს მათი ცოდნის დონე თირკმლის დაავადებებისა და მათი რისკ ფაქტორების შესახებ. ამით პაციენტი სხვების სიცოცხლეს გადაარჩენს.

მოუწოდებთ სამედიცინო პერსონალს დროულად გამოავლინოს თირკმლის დაავადებები და აქტიურად ატაროს პრევენციული ღონისძიებები.

2010 წლის თირკმლის მსოფლიო დღე დევიზია

„დაიცავი შენი თირკმელი - აკონტროლე დიაბეტი“